ტერმინთა განმარტებები

ინფლაცია – ფასების ზრდა

IPO (INITIAL PUBLIC OFFERING) – პირველადი საჯარო შეთავაზება

SEC (SECURITIES AND EXCHANGE COMMISSION) – ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია

FINRA (FINANCIAL INDUSTRY REGULATORY AUTHORITY) – ფინანსური ინდუსტრიის მარეგულირებელი ორგანო

ემისია – ფასიანი ქაღალდების გამოშვება

TRADING FLOOR – სავაჭრო ადგილები, სადაც ბროკერები ხმაურიანად არიან ჩართული გარიგებებში

საფონდო ბირჟა (STOCK MARKET) – ადგილი, სადაც მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ხვდება, იმისათვის რომ შეძლონ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

ლისტინგი – საფონდო ბირჟებზე აქციების სავაჭროდ დაშვება

ინვესტირება – თანხის დაბანდება როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროდუქტებში

კომპანიების რისკიანობას აფასებენ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები,
როგორებიცაა: **S&P Ratings-ი, Fitch-ი და Moody's-ი**



ტიკერები – სიმბოლოები, რითაც კომპანიის აქციები ბირჟაზე ივაჭრება

დივიდენდი – კომპანიის მოგების / ნაწილის გაცემა მის აქციონერებზე

ობლიგაცია– სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომელსაც კომპანიები დამატებითი თანხების მოსაძიებლად უშვებენ

ETF (EXCHANGE-TRADED FUNDS) – გაცვლითი სავაჭრო ფონდები

REIT(REAL ESTATE INVESTMENT TRUST) – უძრავი ქონების ფონდი

MARKET CAP (MARKET CAPITALIZATION) – გამოშვებული აქციების რაოდენობა X აქციის საბაზრო ფასზე

გახსნის ფასი – ბირჟის გახსნისას დაფიქსირებული ფასი

დახურვის ფასი – წინა დღის ვაჭრობის დახურვის ფასი

ASK PRICE – მინიმალური ფასი, რა ფასადაც გამყიდველი მზად არის გაყიდოს

BID PRICE – მაქსიმალური ფასი, რა ფასადაც მყიდველი მზადაა, რომ იყიდოს

ფასი დღის განმავლობაში – დღის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური და მაქსიმალური ფასი

ფასი 52 კვირის განმავლობაში – წლის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური და მაქსიმალური ფასი

P/E ფორმულა – კომპანიის აქციის ფასის შეფარდება აქციის მოგებაზე

EPS – შემოსავლიანობა 1 ცალ აქციაზე

DIVIDEND YIELD – წინა წელს გაცემული დივიდენდის მოცულობა 1 ცალ აქციაზე

მოცულობა – ვაჭრობის საშუალო მოცულობა პერიოდის განმავლობაში

INDEX: S&P 500 – მიჰყვება ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ 500 უმსხვილესი კომპანიის აქციების ფასებს

INDEX: DOW JONES – აკვირდება ამერიკის შეერთებული შტატების 30 უმსხვილესი კომპანიის აქციებს

INDEX: Nasdaq – აერთიანებს 3 700-მდე კომპანიას, რომელთა დიდი ნაწილი ტექნოლოგიურ სექტორში საქმიანობს

BULL MARKET – ბაზრის აღმავალი ტენდენცია, აქციის ფასები იზრდება

BEAR MARKET – ბაზრის დაღმავალი ტენდენცია